# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №136

## 2017 წლის 21 მარტი

## ქ. თბილისი

## „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის №177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ივლისის №177 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16.07.2013, 040030000.10.003.017344) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის“ მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) 5 სამუშაო დღე:

ბ.ა) 1 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – ობიექტის ღირებულების 0,1 %;

ბ.ბ) 1 მილიონიდან 5 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 1 000 ლარი;

ბ.გ) 5 მილიონიდან 10 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 2 000 ლარი;

ბ.დ) 10 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ობიექტი – 2 500 ლარი;

გ) 2 სამუშაო დღე:

გ.ა) 1 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – ობიექტის ღირებულების 0,2%;

გ.ბ) 1 მილიონიდან 5 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 2 000 ლარი;

გ.გ) 5 მილიონიდან 10 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 4 000 ლარი;

გ.დ) 10 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ობიექტი – 5 000 ლარი.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**